

დროება

ყოველ ღამე ოსმალეთის გარდა

რედამცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედამციაში. მარტო მცხოვრებთათვის: ВЪ Типографіи. ВЪ редакціи газ. „Дროება“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარწლისა—5 მან., სამისათვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ფასი განსტავების: მთელის წლისა—1 კაპ., ასო-მთავრულორტ სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულბრუნვის ცრელოთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

რედამციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბედაო გამოგზავნილი სტატიები. დაუბედავლი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

სამართლებლოში წარა-კითხვის გამავრცელებელი თფილისის საზოგადოების გამგებობა უმორჩილესად სთხოვს, როგორც საზოგადოების დამწესებელთა, ისრე ნამდვილთა წევრთ გამოუგზავნონ ბამგეობას, წესდებით დაწინაურული, წევრთაგან შემოსატანი ფულები.

ამ წესდებით: დამწესებელ წევრთ შინა შემოიტანონ „ან ყოველ წლივ არა ნაკლებ ოცი მანეთისა, ან ერთ-ხანათ არა ნაკლებ სამასი მანეთისა“; ნამდვილ წევრთ—ყოველ-წლივ არა ნაკლებ ექვსი მანეთისა და ერთ-ხანათ არა ნაკლებ ასი მანეთისა. ეს ფული უნდა შემოიტანილ იქნას ამ წლის 1 სექტემბრამდე.

საზოგადოების გამგეობასთან მიწერმოწერისათვის და ფოჩით ფულის გამოსაგზავნელათ, შემდეგი აღრესია: ВЪ Тифлиси. ВЪ Обществу распространения грамотности среди грузинъ.

მისაც თითონ სურს შემოიტანოს ფულები, იმას ესთხოვთ მიმართოს თფილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულთ ბანკში, საცა საზოგადოების ხაზინადარი, ან საქმის-მწარმოებელი ყოველ ღამე მიიღებენ საწევრო ფულებს. (3—1)

ყოველ-ღამური გაზეთი

„დროება“

ხელის-მოწერა მიიღება თფილისში რედამციის კანტორაში (ბაღის (სადღვი) ქუჩაზე, ბ. შადინოვის სახლში, № 33).

შალაქს გარე შე ხელის-მომწერელთათვის აღრესი: ВЪ Тифлиси. ВЪ редакціи газетъ „Дროება“.

გაზეთის ფასი

მთელის წლისა	—	—	8 მან.
ექვსის თვისა	—	—	5 „
სამის თვისა	—	—	3 „
ერთის თვისა	—	—	1 „

ხვედრი ფული გაზეთის დაბარებისათნავე უნდა იქმნეს რედამციაში შემოტანილი.

პირველი ივნისიდან წლის დამდეგამდე გაზეთი ღირს ხუთ მანეთად და ათ შაურად.

ტელეგრაფები

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

პარიში, 31 მაისს. ვენიდან მოვიდა აქ ამბავი, რომ მეროპის ყველა უმთავრესს სახელმწიფოებს მიუღიათ რუსეთის წინადადება შესახებ აღმოსავლეთ რუმელიის კომისიის მოვალეობისა და უფლებებისა: მომისიამ თვალ-ყური უნდა ადევნოს რეფორმის (ახალი წესდების) რიგთანაღ შესრულებას. რუმელიის ღენ-ღებერნატორს, კამისიის დაუკითხავად, არ ექნება უფლება, რომ მსმალის ჯარები მოიყვანოს რუმელიაში. ლებერნატორმა უეჭველად უნდა შეასრულოს ყოველი გარდაწყვეტილება, რომელსაც კომისიის წევრების უმრავლესობა მიიღებს. ჩინოვნიკების ამორჩევაში დუბერნატორი არის პასუხის-მგებელი.

კვთარგურლის ბიჩა, 3 ივნისს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

ბანკის ბილეთები:	3 მან. კაპ.
პირველი გამოცემის	95—87
მეორე	95—25
მესამესი	95—

ფულტონი

ისტორიის მასალა *)

როცა ლანგთემურმა ვედარ აისრულა თავისი ბოროტი ნება, ვერას ღონით ვერ მოიგდო ხელთბიორგი მეფე ძე ბაგრატი მეფისა, ყოველი თავის გულის-წყრომა დააყარა საქართველოს. რაც შეხვდა ხელად ყრმა, ბერი, ქალი თუ კაცისრულ ხმალ-ქვეშ გაავლო, გაწყვიტა; რაც მოეწონა ტყვედ აიყვანა; იმათი ადგილსადგომი მოაოხრა, მოსწვა ცეცხლითა, და წარვიდა.

1401 წელს გაამეფა თავის შვილდ შაჰმირანი თაერისა. ამას დაანდო მართლ-სომხეთი, გარდვიდა ქვეყანის იმიერ, დაიბრნა ჰონები ჩრდილოეთის მიდამოთი, დაიჭირა დავრია პირიმიც, დასუა მეფედ თავის მონათესავე იდაყა.

იქილგან დაიპყრო ასურეთი, ბერია (ბერუთი), დამასკე პალესტინამდის, მეტის-მეტის სისხლის ღვრითა, რომ ენით გამოუქმელია! შევლა თავის კაცებს უბრძანა თითო თავის მოტანა.

ამ რიგობით თურმე სამი კოშკი დასდგეს კაცის თავებითა, როგორც აღრე ბაღდადის აღებისა მოქცეულიყო, ასრე. ძეალად მოუბრუნდა მსმალთაგან, მათი სამთავრო ფენ-ქვეშ გაზეტგნა. მშვიდობის პირობით ძალა-ნებრივ აიღო სებასტია (სუანი), მდიდართ ცოცხალ-ცოცხალთ ტყავი დააძრო, მათი გასივებული ხანუმი ცოლები ცხენების ძევეთ დააჩლიჩინა ლუქა-ლუქათ, ყმაწვილები ცხენთ ფენ-ქვეშ დაასრესინა და 4,000 ქალაქის ჯარი ცოცხალ-ცოცხალ მიწაში დაამარხინა. ბარდა ამისა დაიჭირა სულთან ბაიაზითი, აუფორიაქა ყოლი განძი-საბოდელი. 60,000 მოსახლე ტყვე წაიყვანა იმ მხარითგან და ისე მოვიდა თავის სატახტო ქალაქს სიმარლანტს, იცოცხლა ორი წელი და მოკვდა 1046 წ.

ამან შეაკრებინა ყოველგნით სსკობნავი წიგნები და პარსულთან და სომხურთან და წააღებინა მართლ-სამესხმთგან ქართული წიგნებიცა სიმირლანტის თავის საწიგნეში; ეისაც უნდოდა შევიდოდა, წაიკითხამდა, დასტოვდა იქვე და გამოვიდოდა.

შერ ქვეყანას სული არ მოეგდა, რომ ხელ-ახლოვ გაჩნდა საშინელი წყვეტ-ქოვტა ლანგ-თემურის სიკვდილის ხმა რომ გაეარდა 1407 წ., გამოვიდა იქით მეგვტის სულთანნი მაჰმად-ხანი, დაიჭირა ყოველის მიდამოებითა ბაღდადი; ექეთ თავი იჩინა შამისკენ შემალულმა შარა-შაუფ ამირამ, დაიპყრა სომხეთ მიდეთი, დაიბრნა მათი მხირება, შეჭკირბა ჯარი, თაერისი აიღო, მოჰკლა ლანგთემურის შვილი შაჰამირა და მავიერად თვითან გაამეფდა.

თუმც შაჰამირის ძე შაუფ და ძმა მუშარი-სიგნის ხანი ერთ წლის ხანს ეომნენ, გარნა ორივენი დაიხრცნენ დამარცხდნენ ომ-ბრძოლ აში, რომლით დაჰნებდა ყოველი მიდამო შუა მდინა-

*) „დროება“, № 43 და 44.

მეოხნესი	95	12
ალმოსავლეთის პირ.	92	50
ალმოსავლეთის მეორე	94	„
ალმოსავლეთის მესამე	„	„
მკრო, 1/2 იმპერიალი	8	48
თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი	94	93
შინაგანი 5%, სესხის ბილეთები	მან.	კაპ.
პირველი სესხის	242	50
მეორე სესხის	238	25
1 მანეთი ლირს:		
ლონდონი	23	50 პენსი
ამსტერდამი	119	50 ცენტი
ბერლინი	200	75 ჰენიგი
პარიჟი	248	75 სანტიმი
ბაქსაისის კერასინი	„	„

საქართველო

უზ. დიმიტრი ივანეს ძეს უიზიანს.

მოწყალეო ხელმწიფეო!

წუთიერი გამარჯვება, უმრავლესობის უფუნურებაზედ წაქეზება და მით სახელის მოპოვება, არაოდეს არ სწერებულა ჩვენს დროშაზედ.

ჩვენ, მართალია, დამარცხებული ვართ დღეს, ამგვარივე დამარცხება მოგველის იქნება ხელაღ, მაგრამ უმადლოესი და უკეთილშობილოესი პრინციპი კი ჩვენსკენ არის! ჩვენ ვეშასხურებით იმ აზრს, რომ საზოგადოებაში ძმობა და სამართლიანობა დამყარდეს. ღარწმუნებული ვართ, ვინც კი ნამდვილად ქვეყნისათვის გულის შემატკივარია, ვინც საქართველოს ერის ბედნიერებას ჰფიქრობს, — იმათ ჩვენი მხარე უჭირავთ. ეს ბევრია შემდეგისათვის.

ჩემდის შარა-შუფე ამირასა.

1411 წ. გამოვიდა ბაღდადის ამირა აჰმად-ხანი, დათამამდა და აიღო ომით თავრიზი. რა სცნა ესე შარა-შუფე ამირამ, მოაშურა, დაესხა თავს, აიღო ხელახლად თავრიზი მოჰკლამა აჰმად-ხანი, ამოუწყვიტა ცოლ-შვილი და გაილაშქრა ბაღდადზედ, დაიჭირა სრულიად ის მხარე, დასვა მეფედ თავისი ძე სკანდარი და ესრე დავიწყებაში მისცა ხანების მოდგმა, დაწყობილი ჯანგისხნიდგან იქამდის!..

1412 წ. სპარსთ ვაჭრებს რაცღა გულდ სტიკებოდათ შესხებზედ და ქ. სამცხეს (სამეხსეს) წალაპარაკებაში ეგინებინათ თავიანთ ჩვეულებრივ ყია-მყრალობით მესხებისათვის. იმათაც შემოეტიათ და მრავალნი მათგანი ამოეწყვიტათ, დანაშთნი გაქციულიყვნენ შარა-შუფე-ამირასთან და ცოცხსენებინათ ყოველი ყოფილი, ძალი, სიმდიდრე, წყობა და მისთანა კეთილ თვისებანი ადგილ-სამყოფთა. მათ 1414 წ. მოუძღვნენ ხანებულნი პარსის ვაჭრები უგრძობელად შარა-

თავად-აზნაურობამ, ზოგიერთი წერილმანი ეგონებდნენ წყალობით, ისეთი დანაშაულობა ჩაიდინა, რომლის გადავილება შეუძლებელია. მან ვერ გამოიჩინა — როგორც მშვენივალ ბრძანებთ თქვენ — ვერც ქრისტიანული გრძობა, ვერც მამულის შეილობა, ვერც ერთგვაროვნობის და ძმობის მიგობრობა, როდესაც თავის სასტიკ კადაწყვეტლებას აღგენდა.

ღავსძენ მეც: თავად-აზნაურობამ ვერ გამოიჩინა ის მცირე გაგებაც, რომელიც დაანახებდა მას, თუ როგორი საქირა და სასარგებლო არის თითონ მისთვის ძმურად ხელის მიწოდება ხალხისთვის.

საზოგადოება, რომელსაც თითო-ორი კაცი არ ეყოლება, რომელთაც ამგვარი სამწუხარო შემთხვევების დროს შეეძლოს აღამალოს თავისი ხმა და პირ-უთნეველად უთხრას ამ გზა-დაბნეულ საზოგადოებას ჭეშმარიტება, ასეთი ქვეყანა ჯოჯოხეთად გადაიქცეოდა და ხალხი შიდ მცხოვრები მხეცებთ! მაგრამ ჯერ ჩვენი საქმე აქამდის არ მისულა.

ბედნიერი ვართ, რომ სწორეთ თქვენ, რომელსაც ერთობ კარგათ გიცნობსთ ჩვენი სამშობლო ერთ-გული მოღვაწეობისათვის მრავალ-გვარ საქვეყნო ასპარეზზედ; თქვენ, რომელსაც ყოველთვის გეკუთვნოდათ ანაღგანლობის თანაგრძნობა და ღრმა პატივის-ცემა, გამოჩნდით გამომუშინებელად იმ წოდებისა, რომლისგანაც თითონ თქვენ გამოსულხართ.

მინ იცის, იქნება ის კედელი; რომელიც ასე ხელოვნურად აღაგეს ზოგიერთთა ჩვენთა ამხანაგთა ჩვენსა და თავად-აზნაურობის უმრავლესობის შარის, ვინ იცის, ვამბობ მე, იქნება ეს კედელი თქვენი პატივცემული ხმის წინ დაინგრეს სამუდამოთ? ხშირად ერთი კაცი —

შუფე-ამირასა და შემოიყვანეს სამეხსესათაბეგოში დიდ ძალის ჯარითა. მინც შესწრო ციხე-სიმაგრეში, ხომ რა კარგი ვინც არა და მიეცნენ მათ ხმალოსა წყვეტა-ქლეტასა და ტყვეობასა; 20,000 ტყვე გაიყვანა თურმე; მაგრამ ყველა ქრისტიანებმა შეისხნეს ისევე.

1439 წ. ბიორგი მეფის ძე ალექსანდრე მეფე განუდგა თავრიზის მფლობელ ჯაჰან-შასა და აღარ მისცა გარდასახადი. მაშინ ჯაჰან-შაჰმა ქართველ სიძლიერის გამო ცხადად ვერ გაამხილა ამტრება, ფარულათ, მოპარვით მოიმძღვნა წინ არღველის მთავარი ზედ აღდგომა დღეს. სამშვილდის გარემონი დაატყვევა, შამოადგა სამშვილდეს და 1,664 კაცს ქალაქს გარე თავები დასჭრა, 60 სამღვდლო პირი ქალაქის კარებში ცხრულებურ გამოკლეს, 3000 დატანჯვით გაწყვიტეს, 7400 ტყვედ აიყვანეს. ამ სამშვილდეში ქართველთ გარდა 20,000 სომეხი იყო თურმე. მერე მბილისი აიღეს, მოაოხრეს, შეუბდნენ სიმაგრეებში შემალულთაგანაც,

ათას კაცად ღირს — და ერთი სიტყვა — ათი-ათას სიტყვათ!

ღარწმუნებული ვარ, სწორეთ ეს ძვირფასი სიტყვა იქმნა წარმოთქმულთ თქვენგან ამ შემთხვევაში.

თქვენი მარდის ერთგული დავით მიქელაძე.

1879 წ. 2 ივნისს, სოფ. ძულაში.

დღიური

* * * მართად-ერთი ჩვენი ჟურნალი „ივერია“, როგორც ამბობენ, დროებით შეაჩერა გამოცემელმა, რადგან მატერიალური მხრით დაბრკოლება აქვს. ჩვენ შევიტყუეთ, რომ „ივერიის“ რედაქცია ხელის-მოწერით აგროვებს ფულს ამ ჟურნლისათვის, თითო პაი ხუთ თუმნად ღირსო. იმედი აქვთ, რომ ამ შემოდგომისათვის საკმაო ფულს მოაგროვებენ და ამ დროიდან ხელ-ახლად დაიწყებენ ჟურნალის დაბეჭდვასაო.

შიოგო არ იქნებოდა, რომ რედაქციას ეცნობებინა თავის მკითხველებიაათვის ამ ჟურნალის შეჩერების გარემოება.

* * * თუ მართალია, რასაც ამბობენ, მომავალი წლიდან ჩვენ რამდენიმე ახალი ჟურნალის გამოსვლასა და სტამბის დაარსებას უნდა მოველოდეთ ჩვენს ქალაქში:

ამბობენ, თ. ილია შავჭავჭავე აპირებს სტამბის გამართვას თავის „მზნობორის“ განახლების გარდა, ქართულ კვირის გაზეთის გამოცემას და სტამბის გამართვას; სტამბის მართვენ კიდევ: უფ. შითუაშვილი „მბილისის მოამბისათვის“, უფ. ალ. შახბეგი და სხვ.

აპირებენ „პრებულის“ განახლებას (უფ. ალ. სარაჯიშვილის რედაქტორობა)

ხელი მოუწვდათ. მრავალი ტყვე აიყვანეს მოსწვენ საქართველო ერთიან და წარვიდნენ.

ისე დაგლახაკებულ დალატაკებულ იყო ქვეყანა, რომ უწინდლებურ ვერა ქრისტიანთ ველარ დაიხსნეს და ასე ურიცხვი სული აქეთ-იქით შორ ქვეყნებში მიყიდ-მოყიდეს. ამ დღიდგან ჯაჰან-შაჰიმ მოუმატა ზომის გარედ გარდასახადი საქართველოს, იქამდის, რომ გარდასხდა შეუძლებელი იყო. ამისთვის მიჰმართეს თავად-აზნაურთა და მრავალი თხოვნა, ვედთების შემდგომ შეუმცირა როგორც იყო,

ამ დროს დაცალეს ქართველებმა სომეხებს ხელითგან იერუსალიმს შოლოგოთის წმიდა ადგილები, თუმც სომეხები ბევრი ეცადნენ უკანვე დაებრუნათ, მაგრამ ველარ შეიძლეს. მერმე შეისყიდეს იმათგან წმიდა აღდგომის ეკკლესიაში ერთი ქორი (ხარდახი), რომელსაც უწოდეს მეორე ზოლოგოთა; მაგრამ ქართველებმაც დიდხანს ვერ დაიმშვენეს რა მოსცილდნენ იქაურობითგან: ნახევა-

ბით); „იმედის“ გამოსვლა მთავრობის დამტკიცებაზედ არის დაბრკოლებული და სხვ. და სხვ.

* * * მთავარი დამ გვეყრენ, რომ წლები კურსი იქაურის სავაჭო გიმნაზიისა ძალიან სუსტი კურსია; სულ რვა ყმაწყილს შეუსრულებია სწავლა და ემათში მხოლოდ ორი გამხდარა ჯეროვანი ატტესტატის მიღების ღირსი, დანარჩენს უბრალო მოწმობა მიუღიათ.

* * * ჩვენ მივიღეთ ერთი პირისაგან სტატია, რომლის ავტორი უჩივის ახლანდელ სამღვდლოებს, რომ იმათ ხალხის რწმუნება და პატივისცემა დაკარგესო. ავტორის აზრით, ამის მიზეზი ის არის, რომ ახლანდელი ჩვენი სამღვდლოების მომეტებული ნაწილი უფრო თავის კერძო სარგებლობას გამოსდგომია, და თავის მრევლის არც სულიერ და არც ხორციელ წარმატებაზე არ ზრუნავენო, არცერთი მღვდელი არა გვეყავსო, რომ წელიწადში ერთი ქადაგება, ერთი უბრალო დარიგება უთხრას თავის მრევლსაო და სხვ. თითო სემინარიაშიაც კურს-შესრულებულებიც საზოგადო ტალღას გაჰყვენ და სოფლის ხალხზე სრულებით არაფერსაა მზრუნველობას არ იჩენენო.

თეატრი

ქართული წარმოდგენა, 3 ივნისს.

მუშინ, კვირას უფ. არწრუნის ახალს თეატრში ქართულ სცენის მოყვარეთა წარმოდგენის „ქევი ფარშევანგის ფრთები“ — ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი გადმოკეთებული უფ. მ. აბაშიძისაგან, „ძალადე ქიმი“ — ორ-მოქ-

მედებიანი კომედია მოლღიერასა თ. მ. შრისთავისაგან გადმოკეთებული და „სოლი თუ გინდათ, ეს არის.“ — ერთ-მოქმ. ვოდევილი უფ. მ. აბაშიძისა.

ამას წინათაც შევნიშნეთ ჩვენ, რომ ქართული წარმოდგენები ამ უკანასკნელ დროს თან-და-თან უფრო რიგიანათ და წესიერად იმართება და ამის-და-გვარად საზოგადოების ხალხიც ქართულს სცენისადმი თან-და-თან მატულობს.

მაგრამ ამისთანა კარგი და მონდენილი წარმოდგენა, როგორც იყო ეს უკანასკნელი წარმოდგენა, ჩვენ ხშირად არ გვინახავს ჩვენი სცენის მოყვარეთაგან. შევლა მოთამაშეებს ნამდვილად თავის ნიჭისა და ხასიათის შესაფერი როლები ჰქონდათ მიცემული; თითქო ყველა მოთამაშეებსა სიტყვა მიეცათ ერთმანეთისათვის, რომ ვეცადნეთ დღეს ერთმანეთს გადავაქარბოთ თამაშობითაო.

არ ჩამოვთლით თითო-თითოდ ყველა მოთამაშეების ღირსებასა და ნაკლულევენებას. საზოგადოთ უნდა ითქვას, რომ თავის როლი არცერთს მოთამაშეს არ გაუფუჭებია, თუმცა ზოგიერთ მოთამაშეებს წვრილალი ნაკლულევენება კი ჰქონდათ.

მაგალითად, ჩვენ შევნიშნეთ, თითქო საფაროვის ქალს ამ საღამოს აკლდა თავის ბუნებური, ძალ-დაუტანებელი თამაში, მიხვრა-მოხვრა და ლაპარაკი; თითქო ის ცდილობს ახლა, რომ უფრო მომეტებული ხელოვნება გამოიჩინოს თამაშობის დროს და ეს, უეჭველია, თუ არ აფუჭებს, არ უხდება იმის ჩინებულ, ნიჭიერ თამაშს. ძალ-დატანება რა საჭიროა, როდესაც თავის ბუნებითი თამაში ჩინებული აქვს. ჩვენ გვეზინიან, რომ ერთობ მომეტებულმა ქებამ, მომეტებულმა ტამის-კვრამ ცუდათ არ იმოქმედოს საფაროვის ქალზე...
ბ. შიფიანმა სრულებით თავის როლი

არ იცოდა („ძალადე ქიმი“) და მისი კარგი იქნება, რომ ეს წამღვდელისწიგნის პატრონი მოთამაშე ამ ცუდ ჩვეულებას მოიშლიდეს. სხვებზე, ჩვენი ჰზრით, მათუას როლს, უკეთ თუ არა, ნაკლებად არ თამაშობდა უფ. ნიკ. ავალიშვილზე.

მავე საყვედური (როლის უსწავლელობა) ეთქმის უფ. მ. აბაშიძისაც, რომელიც აგრეთვე ჩვენი ახალგაზდა სცენის საუკეთესო მოთამაშეების დასში უხდა ჩაირიცხოს.

მე რომ რეჟისორი ვყოფილიყავი გლეხების მოთამაშეებს უფ. ავალიშვილს და შიფიანს შეუცვლიდი როლებს, ერთს მეორესას მივეცემდი. — უფ. ავალიშვილი გლეხის როლს მშვენიერად თამაშობს, მხოლოდ ხანდისხან გადაჭარბება იცის. უფ. შიფიანე კი, უეჭველია, იმაზე უფრო სუსტი მოთამაშეა.

ზაბუნისა ქალმა ნანუას როლი არტიტიულად, ხელოვნურად, ნიჭიერად ითამაშა. ამისთანა როლებში ის დაუფასებელია.

უფ. მ. მაჩაბელი იმერლის როლში საზოგადოებას ძალიან მოსწონს, თუმცა ჩვენი აზრით, ის ვერ არღვევს ნამდვილ იმერლის ტიპს. იმერლის თვისება არ არის არც გაუწყნარებელი თვალების ჭყეტა, არც ხელების პარჭყეა და არც მუდამ გრენა-მანჭვა; სიტყვებსაც ერთობ მომეტებულად აფუჭებს. ნამდვილი იმერლის მოთამაშე, უ. შლ. აბაშიძის შემდეგ, არ უნახავს თეატრის საზოგადოებას, თორემ უფ. მაჩაბელი ასე რიგად არ მოეწონებოდათ.

საზოგადოება ამ წარმოდგენაზე ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები იყო; მიზეზს იმას ამბობენ, რომ წარსული წარმოდგენა („მზის დაბნელება“) ერთობ უხეიროდ წავიდაო და ამან დააფთხო ხალხიო. ასე ცუდია, როცა რიგიანათ არ იმართება წარმოდგენა.

რი ბერძნებმა გაიტარეს ხელთ და ნახევარიცა ლათინებმა. (როგორც მე გამოვიგონია ამ საგანზე სარწმუნო პირითგან, ლათინებსაც შესყიდული ჰქონიათ ქართველებისაგან). მა უნდა იყოს ტიპოტეს მოგზაურობაში მოხსენებული: როგორც თუ სულთან სულეიმანს მოეწეროს საქართველოს მეფეებისათვის 1,529 წ. მოდით უსჯულონი გაყარეთ იერუსალიმითგან და თქვენი მეფის მხტანგ ბორჯასლანის ნაქონი წმიდა ადგილები დაიჭირეთო! მათ გაუგზავნიათ ლაშქარი. შარკვარე ათაბაგის მოთაბითა, განუდევნიათ მოწინააღმდეგენი და დაუპყრიათ 48 წელს.

ბქ თუმც მ. ტიპოტეს ისტორია ნამდვილად გარდმოუკია, მაგრამ წელთ აღრიცხვაში და პირების სახელის გარდმოცემაში შეცდომილება უნდა მოსვლოდეს: როგორც ჰანე მოძღვარი გაჩვენებს, ეს საქმე სულთან მურადის მეორის დროს უნდა იყოს; ეს იყო, რომ 1422 წ შემოადგა ქ. მონსტანტინეპოლს ასაღებად. ბარნა მაჯარებმა

(უნკარებმა) მოსვენება არ მიძცეს. მალ-მალ ეცემოდნენ მის ურდოებსა და სწყყეტდნენ, ამისათვის მონსტანტინეპოლის აღებას თავი დაანება და მაჯარებზედ ყოველი თავის ძალით გაილაშქრა; რადგან პარსებითგან და მეროპიელებითგან ეფიქრებოდა პალესტინის მხრის დაჭერისა. შემოხსენებული მიზეზით ქართველები და მესხები ჩაყენა პალესტინში, სანამ გაიმარჯვებდა მენგერებზედ და წვრიმალ მტერებზედ. ამ დროს სცხოვრებდა ბექა ათაბაგის ძე იოანე ათაბაგი და ბიორგ მეფის ძე ალექსანდრე მეფე.

სხადად იცოდნენ მსამლოებმა. თუ ქართველ-მესხები რამე საშუალებით არ დაეფოლსათ, არ მოევოთ გული, თავიანთ მტრებზედ ვერ გაიმარჯვებდნენ, ვერც ვენგრელებს და მარცხებდნენ და ვერც ბერძნებსა. მონსტანტინეპოლის აღებით ყველას ბოლო მოუღეს.

შემდგომ გამოფხიზლდენ ჩვენი წინაპარები, მაგრამ რაღა დროს? შოველი ძალა და საშუალება მოაყენეს სამესხ-

თოს მხარეებსა, დამეგობრება, სიტკობ, საჩუქრები, ქრთამი, ცრუმორწმუნოება, მისნობა, თვალთ-მაქცობა, სიადილე, ნებაყოფლობა და ამისთანა კაცობრიობის მანე მოვლინებები გამარაგლეს. ამისგან აიცურვეს გული ჯერ სასულიერო პირებზედ, ღეთის სამსახურზედ, სიმართლე სჯულ კანონზედ და შემდგომ თავიანთ მფლობ თავად-აზნაურობაზედ გლეხ-კაცობამ. თავად-აზნაურობაში ვინც ღეთის მოშიშნი იყვნენ და სამშობლო მამულის მოყვარულნი, გამოეცალენ, ქრისტიანთ მხარეს მოეკედლნენ ცოლ-შვილითა და ყმა-მონებითა, ვინც არა ქრთამ-პატივით შეისყიდეს, ულალატეს ათაბეგებს, შემოიყვანეს ნელ-ნელა ოსმალები სხვა-და-სხვა მიზეზებით, მოყვარობის პირითა, ჰკმეს მონსტეს სარწმუნოება და გამაჰმადიანდნენ ერთიან ერთი მეორის ჯავრზედ..

მინე მესხი.

ახალციხე, 9 აპრილს.

(ზაგრძელება იქნება)



ორიოდე სიტყვა უფ. არწრუნის თე-
ატრზედაც.

ზალა ლამაზათ არის მორთული; დე-
კორაციებიც ურიგო არ არის. მაგრამ ამ
ზალას ორი უმთავრესი ნაკლულეგანება
აქვს: პატარა და თითქმის სრულად
ვინტილიაცია არა აქვს, ჰაერო არ მუ-
შაობს; ამის გამო საშინლად ცხელა და
არა მგონია, რომ თუ არ გაჭირება, ამ ზა-
ლაში ზაფხულობით ვინმე შინდომოს
წარმოდგენების გამართვა. ამას გარდა
წესიერება არაერთი, შევიცარები საკ-
მაოდ არ არიან, ბევრი უბილეთოა; შე-
დიან ზალაში და სხე.

უცხო ქვეყნები

საბერძნეთი

შვედის ტელეგრაფის სააგენტოს მო-
უყვინძა 23 მაისს ათინიდან ამბავი, რომ
საფრანგეთისა, ბერძნის და იტალიის
ულჩებს მოსვლიათ თავიანთ მართებლო-
ბისაგან ბრძანება მოეთხოვათ საბერძნე-
თის მმართველობისაგან, რომ ამას გაეგ-
ზაენა კამისარები სტამბოლში და მოე-
თხოვა მსმალოსაგან სამხლერის თა-
ბაზე მოლაპარაკება ხელახლა განემეო-
რებიათ.

რუსეთი

სოლოვიოვის ჩამოღობვა

28 მაისს, დილის 10 საათზე, პეტერ-
ბურგში ჩამოაღრჩევს სახელმწიფო დამ-
ნაშავე. სოლოვიევი, რომელმაც 2 აპ-
რილს ხუთ-ჯერ ესროლა დამნაშა ხელ-
მწიფე იპკვერატორს.

იმის ჩამოაღრჩობის დილა სმოლენს-
კის მიწოდორზე, სადაც უნდა მომხდარი-
ყო მისი დასჯა, შეიკრიბა 60 თუ 70 ათა-
სი კაცი. ამ საათზე მოიყვანეს პეტრე
პავლოვის ციხიდან თითონ დამნაშავე,
შეად შემოსილი. იმას მკერდზე ქონდა
აკრული ფიცარი ამნაირათ წარწერილი:
„სახელმწიფო დამნაშავე.“ ერთი წყობა
უახანები და ქვეითა ჯარი მიდევდა.

როდესაც მოიყვანეს იმ ადგილზე, სა-
დაც უნდა დაედრჩოთ დამნაშავეს
წაუკითხეს უზენაესის სასამართლოს გან-
ჩინება, რომელიც იმან დამწვიდებულათ
მოისმინა. შემდეგ მიუხანლოვდა მას
მღვდელი შავსვე შეხამოსელი. იმას
ეჭირა ხელში ჯვარი, რომელსაც უნდა
მთხვეოდდა სოლოვიევი, მაგრამ იმან სუს-
ტის ხვით დაუძანა მღვდელს: „არ მიწდა,
არა!“

ამის შემდეგ სოლოვიევი აუყვანეს
სახრობელაზე და რამდენიმე სეკუნდ-
ში კასერზედ მოაბეს საბელო, გამოა-
ცალეს ფეხებიდან ფიცარი, რომელზე-
დაც იდგა, და ის დარჩა ჩამოკიდებუ-
ლი ჰაერზე. რამდენიმე წამში იმას ამოხ-
და სული. შემდეგ ჩადვეს შავს კუბოში
და ამავე წესით, ჯარით, წაიღეს სასაფ-
ლაოზე დასამარხავად.

ჭუთაისის სააღმოსავლურ ბანკისათვის

ჭუთაისის სააღმოსავლურ ბანკის სამმართველო აცხადებს, რომ,
ბანკი წესდების მე-18 § ძალით, მმდინარე წლის 27 ივნისისათვის ქ. ჭუთაისს,
ბანკის სადგომში, საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად დანიშნულ-არაიან უძრავნი
ქონებანი ქვემო მოხსენებულთა პირთა:

ბგარი, სახელი და მამის სახელი მეპატრონისა.	რა გვარი მამულაა.	სად მდებარეობს მამული.	სესხის ვადა.	შამი თავის შა მოუტანელ გე- დასახადითურთ.
				მან. კაპ.
ჩარკვიანი, ანდრია დავითის ძე, აზ-რი.	ერთ სართულიანი ხის სახლი, 225 ოთხ-კუთხ- საქნიანი ეზოთი.	ქ. ჭუთაისს, თფი- ლისის ქუჩაზედ.	3 წელ.	203 59
ხელთუფლიანი, ბესარიონ ან- დრიას ძე, კოლლექ- სკის ასესორი.	მორმეტი ერთ-სართუ- ლიანი ქვითკირის ლუქნე- ბი, 168 ოთხ-კუთხ-საქნი- ანი მიწით.	ქ. ჭუთაისს, ბა- ზრის ქუჩაზედ.	3	3239 70
აგივა.	მთხი ერთ-სართ. ხის ლუქნები, 442 ოთხ-კ-საქ- ეზოთი.	ქ. ჭუთ. მრბირის და ლაზარეთ. ქუჩა- ზედ.	18 1/2	1837 10
კანდელაკისა, ეკა- ტერინა ანდრ. ასუ- ლი, აზ-რი.	მრე სახლი, რომელ- თაგანერთი ორ სართუ- ლიანი ხისა და მეორე ერთ სართულიანი ქვით- კირისა, 192 ოთხ-კუთხ- აქნიანი ეზოთი.	ქ. ჭუთაისს, ალექ- სანდროვის ქუჩა- ზედ.	18 1/2	2993 69
გუჩიელისა, მლე- ონოზა შიხაილის ა- სული, კენიწა.	ჭვითკირის ერთ სარ- თულიანი სახლი 1,230 ოთხ-კუთხ-საქენ. ეზოთი.	ქ. ჭუთაისს, ბა- ლახანის ქუჩა- ზედ.	18 1/2	5094 98
ხედვინიძე, ივანე იოსების ძე, ნადვარ- ნი სოვეტნიკი.	ჭვითკირის ორ სარ- თულიანი სახლი 300 ოთხ- კუთხ-საქენიანი ეზოთი.	ქ. ჭუთაისს, ში- ხაილოვის ქუჩა- ზედ.	18 1/2	12630 96
ხელთუფლიანი, ბესარიონ ან- დრიას ძე, კოლლექ- სკის ასესორი.	ერთი ნაკვეთი მიწა, ზომით 36 დესიატინა და 360 კვად. საქენი.	ბანჯის აგარაკ- ში ჭუთაისის უე- ზდისა.	43 1/2	1253 33
ჩხვიძისა, მელანია ქაიხოსროს ასული, აზ-რი.	ხეხილ-ვენახიანი ბაღი, სამოსახლო და სახნავ- სათესი, 26 დესიატინა და 1500 კვად. საქენი	შორაპნის უეზ- დის სოფელს ლა- ხუნდარას.	43 1/2	4123 49
მაჭანი, ბიორგი ტარიელის ძე, აზ-რი.	დაბლარი ვენახი, სახ- ნავ-სათესი და ტყე, 7 დესიატინა და 800 კვ. საქ.	ქუთ. უეზდის 43 1/2 სოფ. ჰავანს.	43 1/2	943 74
ჩიქოვანი, სისო მანუჩარის ძე, თა-დი.	სამოსახლო, ზვარი და სახნავ-სათესი, 151 დეს. ი.ტ.	ლენხუმის უეზ- დის სოფ. ლასურში.	43 1/2	1432 36
ნიკაბაძე, ი აია ვა- სილის ძე, გლეხი.	ერთ ნაკვეთი მიწა, ორი დესიატ. და 300 კვად. საქ.	შორაპნის უეზ- დის სოფ. არგვეთს	43 1/2	427 78

(3-3)

ისპიდეზა 1800 მანეთათ პატარა
სახლი თავის ადგილის მიწითა ქ.
თფილისში, ტუქიაში 9 უჩასტკაში, ა-
ლექსანდროვის ქუჩაზე № 21, — რა
პირამებითა შეიძლება იქვე შეიტყოს-
მსურველმა პატრონის სოფლო მლია-
ზოვისაგან.

ამ მაისის 15-დგან გაღებული იქნება
ჭვა-მარკის მაღაზია ქ. გორში და
ხაშურში. გორში — ბიორგი რომანო-
ვთან და ხაშურში — ტუქუნია არტუო-
ვთან.
გორში და ხაშურშია ქვა-მარკილი
ყოველთვის იმ ფასად გასყიდება, რა
ფასადაც თფილისში იყიდება.
ბრიგოდ ბარ. მოვი და ბიორგი რომანოვი
(15-14)

(3-3)